



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/54

ქ. თბილისი

3 ივლისი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის
დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსისათვის დამატებითი პირობების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის
№133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი
პუნქტის ნ¹ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-
04/151 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3
ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:


	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
ნანოკომპოზიციური მასალების დამუშავების განყოფილება			
1	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	<p>უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურებები: • მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვის, მოდერნიზაციისა და კომერციალიზაციის საკითხების ორგანიზებაში ; • გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), აქედან არანაკლებ 5 სამეცნიერო სტატია ქიმიური, ნანოქიმიური ან მემბრანული მეცნიერებების მიმართულებით; • მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული საერთაშორისო ან ადგილობრივ გამოფენებსა ან სამეცნიერო კონფერენციებში (ქიმიური, ნანოქიმიური ან მემბრანული მეცნიერებების საკითხების შესახებ - არანაკლებ 3-ისა).

			<p>უნდა იცოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით).
<p>ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია</p>			
2	მეცნიერი თანამშრომელი	0,5	<p>უნდა იცოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით);

	<ul style="list-style-type: none"> • მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო სტატია მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით და არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში).
--	---

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოკიძე